სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

07821083417826

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

# იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N261160384**

რეგისტრაციის თარიღი

25.08.2026 წ

ნოტარიუსი: დიანა სვანაძე
მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. #109
ტელეფონი: +995 599 63 27 05

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდაექვსი წლის ოცდახუთ აგვისტოს მე, ნოტარიუს დიანა სვანაძის შემცვლელ პირს - ნინო კიკილაშვილს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველოში, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. #109, მომმართა: დავით გიორგობიანმა.

დავით გიორგობიანმა განაცხადა, რომ არის სს „ჰოტელ 1930“-ს (ს/ნ 404533224) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.

მან განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს შპს „არტსტუდიო-პროექტი“-ს (ს/ნ 204489393) და სურს აღნიშნული მინდობილობა დაამოწმოს სანოტარო წესით. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად დავით გიორგობიანმა (დაბ. 05.05.1965წ. თბილისში, მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N80ბ, კორ. 2, ბ. 52, პირადი ნომერი: 01017000104) მომმართა.

მე შევამოწმე დავით გიორგობიანის უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს სს „ჰოტელ 1930“ (ს/ნ 404533224)ვ თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24012410, 02/02/2024 12:00:13. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობაა, რომელის ტექსტიც წაიკითხა და მოიწონა დავით გიორგობიანმა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცდაექვსი წლის ოცდახუთ აგვისტოს მე, დავით გიორგობიანი (დაბ. 05.05.1965წ. თბილისში, მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N80ბ, კორ. 2, ბ. 52, პირადი ნომერი: 01017000104), როგორც სს „ჰოტელ 1930“-ს (ს/ნ 404533224) დირექტორი, ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ შპს „არტსტუდიო-პროექტი“-ს (ს/ნ 204489393) - „მინდობილი პირი“ - შემდეგზე:

მინდობილი პირი უფლებამოსილია შპს „არტსტუდიო-პროექტი“-ს (ს/ნ 204489393) საკუთრებაში არსებულ ქალაქი თბილისი, გამზირი დავით აღმაშენებელი, N 178; ქალაქი თბილისი, გამზირი დავით აღმაშენებელი, 182 -ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N178-ის მიმდ. განთავსებულ უძრავ ნივთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.13.07.024.08) არქიტექტურულ-სამშენებლო სამუშაოების შესრულებასთან, ასევე მშენებლობადამთავრებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის ექსპლოატაციაში მიღებასთან დაკავშირებით წარმოადგინოს მიმნდობის ინტერესები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან, მათ შორის, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციასთან, სსიპ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან, თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი რაიონის გამგეობასთან, სამშენებლო ფირმებთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთსან და შესაბამის სამსახურებთან, სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოებთან, ასევე ნებისმიერ სხვა კომპეტენტურ ორგანოსთან ურთიერთობაში. მინდობილი პირი უფლებამოსილია მოიპოვოს მშენელობის ნებართვა, უზრუნველყოს არქიტექტორულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, პროექტის კორექტირება, სამშენებლო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა, განცხადებით მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ, როგორც წერილობითი, ასევე ელექტრონული ფორმით უზრუნველყოს შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა, უზრუნველყოს უძრავი ნივთის შიდა აზომვითი ნახაზ(ებ)ის დაკვეთა-მომზადება, ხელი მოაწეროს აზომვით ნახაზებს, შენობა-ნაგებობ(ებ)ის ექსპლოატაციაში მიღების აქტს, მშენებლობადამთავრებულ შენობა-ნაგებობ(ებ)ზე მიმნდობის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით მინდობილი პირი უფლებამოსილია საჯარო რეესტრში წარადგინოს შენობა-ნაგებობ(ებ)ის ვარგისად აღიარების (ექსპლოატაციაში მიღების) დამადასტურებელი დოკუმენტი და უზრუნველყოს შენობა-ნაგებობ(ებ)აზე მიმნდობის საკუთრების უფლების რეგისტრაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სარეგისტრაციო წარმოებაში/წარმოებებში ხარვეზის დადგენისა და სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შემთხვევაში უზრუნველყოს ხარვეზის შევსება და დამატებითი სარეგისტრაციო დოკუმენტების წარდგენა.

მინდობილი პირი უფლებამოსილია მიმნდობის სახელით მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაცილ წარმოებაში, მიმნდობის ინტერესების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფარგლებში ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ორგანოს

წარუდგინოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ყველა მასალა, წარადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები, მოიპოვოს (გამოითხოვოს), შექმნას და წარადგინოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტი.
მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცლებელია მინდობილი დავალებების შესასრულებლად.
ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს დიანა სვანაძის სანოტარო ბიუროს არქივში.

მინდობილობა გაცემულია განსაზღვრული ვადით - 2 (ორი) წლით და ძალაშია 2028 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით.
მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც იანხება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი:

1) სს „ჰოტელ 1930“-ს (ს/ნ 404533224) ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24012410, 02/02/2024 12:00:13.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: 30.00 (ოცდაათი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ: 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, პლიუს: 5.00 (ხუთი) ლარი სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად 39-ე მუხლისა, სულ გადახდილია: 40.40 ლარი.

სს „ჰოტელ 1930“-ს (ს/ნ 404533224) დირექტორი -

დავით გიორგობიანი - .....

ნოტარიუსის შემცვლელი პირი: ..... / ნინო კიკილაშვილი /